ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №180404

ნომერი: AR151335

თარიღი : 16.05.2012

გაცემის თარიღი : 31.05.2012

გაცნობის თარიღი : 21.06.2012

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მასივი დიღომი , მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპირო, ქარხანა "მიონისა" და ახალ ხიდს შორის;
ქალაქი თბილისი , მასივი დიღომი , მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპირო, ქარხანა "მიონისა" და ახალ ხიდს შორის;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ანზორი შეყელაძე პ/ნ 01031003166
- ლაგოდეხი ს. ჭაბუკიანი

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ფუნქციური ზონის ცვლილება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, დიღმის მასივში, მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ქარხანა “მიონისა” და ახალ ხიდს შორის არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: #01.13.02.002.014) ავტოტექმოსახურეობის ობიექტის განთავსების მიზნით, ფუნქციური ზონის სტატუსის - სარეკრეაციო ზონა 2-ის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონით ცვლილებას გაცნობებთ, რომ აღნიშნული საკითხი განხილული იქნა “ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის” 2012 წლის 23 მაისის #20 სხდომაზე, რომლის დასკვნის საფუძველზეც სარეკრეაციო ზონა 2-ის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონით ცვლილებას ეთქვა უარი, მაგრამ სხდომაზე გამოთქმული შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით შესაძლებლად ჩაითვალა სპეციალური ზონალური ნებართვის გაცემა ავტოტექმოსახურეობის ობიექტის განსათავსებლად. დანართის სახით გიგზავნით ზემოთ აღნიშნული სხდომის ოქმიდან ამონარიდს და შესაბამისი განკარგულების ასლს.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge